გაგუდვა და ყელში გადაცდენა

გადაცდენის სიმპტომები

- **ძლიერი ხველა; დაზარალებულს ხელები შეიძლება ყელზე ჰქონდეს ჩავლებული, სუნთქვა და საუბარი სუსტი ან წყვეტილია. შესაძლოა ისმოდეს ხრიალის მსგავსი ბგერები;დაზარალებული შეიძლება გალურჯდეს**

1.ზურგის ბიძგები 5 ჯერ

1. დადექით დაზარალებული პირს უკან, წელში მოხარეთ და შეამოვლეთ ცალი ხელი გულმ- კერდის არეში დიაგონალურად.
2. მაგრად დაჰკარით ხელისგულის ზედა მყარი ნაწილით ბეჭებს შორის.
3. გაიმეორეთ ეს ზურგის ბიძგები 5ჯერ

2.მუცლის ბიძგების 5 ჯერ

1. დადექით ან დაიჩოქეთ დაზარალებულის უკან და შემოავლეთ ხელები წელის გარშემო.
2. ერთი ან ორი თითით იპოვეთ დაზარალებულის ჭიპი, ცალი ხელით შეკარით მუშტი და მოათავსეთ იგი მუცლის ცენტრში - ჭიპის ზემოთ და მკერდის ძვლის ქვედა ნაწილში.
3. მეორე ხელი დაადეთ მუშტს და გააკეთეთ სწრაფი, ზემოთ მიმართული ბიძგები მუცლის არეში.

3.განაგრძეთ ზემოაღნიშნული მეთოდით დახმარება, ვიდრე სასუნთქი გზები არ გათავისუფლდება. ასეთ დროს ადამიანმა შეიძლება ძლიერად დაახველოს, დაიწყოს საუბარი ან სუნქთვა, ან პირიქით დაკარგოს ცნობიერება.

თუ დაზარალებული ისევ იხრჩობა ან უგონოდაა დაუყოვნებლივ დარეკეთ სასწრაფოში - 112